პარასკევი, 26 იანვარი, 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 18.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

**ანასტასია ნანეიშვილი** მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავისი ძვირფასი შვილის

## ყარამან პავლეს ძის ნანეიშვილის

უდროვოდ გადაცვალებას. განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია 28 იანვარს, დღით 2 საათზე, სოფელ საჭილაოში (ქუთაისის მაზრა). (2—უ.—1)

---

სოფელ საჭილაოში უდროვოთ გადაიცვალა თავისუფლებისათვის მებრძოლი

## ყარამან პავლეს ძე ნანეიშვილი.

სამტრედიის რაიონის მუშები, მისი პარტიული ამხანაგები უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ამას ყველა თავის ამხანაგებს. განსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია 28 იანვარს, დღით 2 საათზე, სოფელ საჭილაოში (ქუთაისის მაზრა). (2—უ.—1)

---

25 იანვარს დილით ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

## პეტრე ალექსანდრეს ძე ოპოჩინინი,

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ დარდით მოკლულის ოჯახი განსვენებულისა.

პანაშვიდები ყოველ დღე (გუდოვიჩის ქუჩა, № 15) დილით—12 საათზე, საღამოთი—8 საათზე. (2—უ.—1)

# არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### განცხადება ტფ. გუბერნატორისა

1907 წ. 28 იანვარს, ქალაქ ტფილისში მოხდება **ამომრჩეველთა არჩევა** ქალაქის საარჩევნო კრებისათვის; ტფ. ქალაქის გამგეობამ კრებებისთვის შემდეგი სადგურები დანიშნა:

**პირველ** საპოლიციო ნაწილში—ქალაქის ხორცის დუქნის შენობა—ვერის მოედანზე.

**მეორე** ნაწილში—ღარიბთა თავ. შესაფარის შენობა, ზუბალაშვილისა.

**მესამეში**—საქალაქო პუშკინის ბიბლიოთეკა.

**მეოთხეში**—ქალაქის გამგეობა.

**მეხუთეში**—ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი.

**მეექვსეში**—საქალაქო პუშკინის სასწავლებლის შენობა.

**მეშვიდეში**—ვარშამოვის თეატრი.

**მერვეში**—საკომერციო სასწავლებლის შენობა.

**მეცხრეში**—ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო შენობა.

**მეათეში**—ზუბალაშვილის სახალხო სახლი.

ქალაქში არჩევნების დროს წესიერების დასაცველად შემდეგი ზომები იქნება მიღებული:

1. ზემოდ დასახელებულ შენობებში მხოლოდ იმათ შეუშვებენ, ვისაც ქალაქის მიერ ბეჭედ დასმული საარჩევნო ბიულეტენები ექნება; 2. ამისათვის მთელ იმ ნაწილში, სადაც არჩევნები მოხდება, სალდათები იდგებიან; 3. კარებებში იდგებიან პოლიციელები, რომელნიც ვალდებულნი არიან შენობაში მხოლოდ ისინი შეუშვან, ვინც საარჩევნო ბიულეტენს წარუდგენს.

**შენიშვნა**. იმ ამომრჩევლებს, რომელთაც საარჩევნო ბიულეტენები არ მიუღიათ, შეუძლიანთ საარჩევნო კომისიის წევრებისაგან მიიღონ; მხოლოდ ამისათვის პოლიციის შემოწმება არის საჭირო.

4. იმ ადგილებში, სადაც სალდათები იდგებიან, მაღაზიები და დუქნები, არჩევნების დროს, დაკეტილი უნდა იყოს; 5. იმ მხარეზე სიარული, სადაც არჩევნები მოხდება, აკრძალულია კიროჩნი ქუჩასა და ვერის ხიდიდან მოყოლებული ველიკოკნიაზის ქუჩამდე ტროტუარებზე სიარული აკრძალულია; ხალხმა შუა ქუჩაში უნდა იაროს ხოლმე, რადგან ტფილისის კრუჟოკისა და ზუბალაშვილის სახალხო სახლის გასწვრივ სალდათები იდგებიან. (3—6.—2)

SALON „MODES"

## სამკერვალო

ვღებულობთ და ვასრულებთ წესიერად, თავის დროზე, ყოველნაირ დაკვეთას

## ქალთა ტანისამოსისა

გვექნება მრავალნაირი ნიმუშები „მატერიებისა"

## ახალ-ახალ მოდაზე

როგორც საკაბე, ისე საპალტოვე და ყოველნაირი ბაფთები (კრუჟევა) და სხვა მასალა მათდა გასაწყობად.

**მსურველთ ვასწავლით ჭრა-კერვას და ქარგვას.**

სერგიევის ქუჩაზე მირზოევის სახლში № —9 (სოლოლაკი). (50—64—50)



### ძმათა ნიკიტინების ცირკი.

პარასკევს, 26 იანვარს, გაიმართება დიდი და საუცხოვო წარმოდგენა. გასტროლი ევროპაში ცნობილ მეველოსიპედეთა ძმათა **ეფიმოვებისა.** დღეს პირველად შეასრულებს კალათით სიარულს. გამოვა ცნობილი უნგრელი მხედარი M-lle ორანჟე, აგრეთვე დღესვე გამოვა შესანიშნავი სარტომარტალისტი ფილისსი. თუ გინდათ დარწმუნდეთ, მოდით ცირკში. მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს. დასასრულ **„ბალეტი"**; მონაწილეობს მთელი ბალეტი და პრიმაბალერინა რუმიანცევა.

**ანონსი:** კვირას, 28 იანვარს, გაიმართება ორი დიდი წარმოდგენა; დილისა—განსაკუთრებით ბავშების და მოწაფეების სასიამოვნოდ, დაკლებულის ფასებით.

**დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.** (ხალ.—503—1)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—20)

ექიმი

**ვ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლევებისა.** მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ქავქანიძისა (25—15)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. პეტროსოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ბეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—13)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—18)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—29)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

### ლაკტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 389. (100—51—58)

## ცოლ-ქმართა

განქორწინების საქმეს ვაწარმოვებ კონსისტორიებში, ვწერ თხოვნებს და ვადგენ ყოველნაირ არზებს ზომიერ ფასად.

პირადად ნახვა შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. წერილით მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: ავლაბარი, შემახის ქუჩა. თ. ზ. ნასიძე. (6—5)

### სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა

პარასკევს, 26 იანვარს 1907 წელს.

დანიშნულია **ბენეფისი მ. დუბროვსკაიასი.**

შესრულებული იქნება პირველად ამ სეზონში

## ზ ა ზ ა

ოპერა 2 მოქ. ლეონკავალოსი.

შაბათს, უკანასკნელი გასტროლი ვან-ბრანდტისა: **„ტრავიატა"**.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი **ბ. დუნაევსკი.**

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშაძე.**

ქართული წარმოდგენა

### ტფილისის სათავადაზნაურო საკრებულოში

შაბათს, 27 იანვარს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ბედნიერი დღე

კომედ. 3 მოქ. ოსტროვსკისა.

**წარმოდგენის შემდეგ**

**მეჯლისი და ლოტო.**

ადგილების ფასი 30 კ-დან ვიდრე 1 მ-მდე.

წარმოდგენა დაიწყება $8^{1}/_{2}$ საათზე

## ტფილისი, 26 იანვარი.

სხვა და სხვა კანონპროექტებს შორის, რომელნიც უნდა წარედგინოს მომავალ სათათბიროს, უმნიშვნელოესი ადგილი უჭირავს ადგილობრივ თვითმართველობის საქმეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალ რეჟიმის ბედ-ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება საკითხი ადგილობრივ თვითმართველობის მოწყობის შესახებ. დემოკრატიული პოლიტიკური წესწყობილება მაშინ იქნება მკვიდრი, როცა მას ღრმად და ფართოდ ექნება ფესვები ხალხში, გადგმული როცა ხალხი ფართოდ იქნება მონაწილე მართვა-გამგეობაში. რამდენად ფართო იქნება სამოღვაწეო ასპარეზი ადგილობრივ თვითმართველობისა და რამდენად მეტი დემოკრატიული ელემენტი მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ მართვა-გამგეობასა, ადგილობრივ საქმეთა მოწყობაში, იმდენად უფრო მკვიდრი იქნება სახალხო უფლებრივი მმართველობა; პირიქით, რამდენად ძლიერად იქნება გატარებული ცენტრალისტური რეჟიმი და რამდენად სუსტი იქნება ადგილობრივი თვითმართველობა, იმდენად უფრო მეტი საფრთხე მოელის ახალ რეჟიმის დამკვიდრების საქმეს. საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში შესანიშნავი მაგალითია ამისა: მთელი საუკუნის განმავლობაში ვერ დამყარდა დემოკრატიული რეჟიმი, რადგან გადამეტებულმა ცენტრალიზმა დააუძლურა პოლიტიკურად პროვინცია, რომელიც თითქმის სრულიად იყო დაშორებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს. ადგილობრივი თვითმართველობა საფუძველია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ნამდვილი სახალხო მმართველობა, ის პირველი პოზიციები, რომელთა გაუმაგრებლად დემოკრატიის ზრდა და განვითარება ერთობ გაძნელდება.

ადგილობრივ თვითმართველობის ასეთი დიდი მნიშვნელობა კარგად ესმით რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს და ამიტომ ყველა მათგანი ცდილობს თავისის პროგრამებითა და პროექტებით წარსდგეს სათათბიროს წინაშე, რათა თავის პოლიტიკურ იდეალის შესაფერისად მოაწყობინოს ადგილობრივი თვითმართველობა. თავის მხრით მთავრობაც ემზადება ამ საქმისთვის და, როგორც სჩანს გაზეთების ცნობებიდან, პროექტიც შეუდგენია. სტოლიპინის ნაირ-ნაირ პროექტებიდან, რომელნიც მრავლად დამზადდა უკანასკნელ თვეების განმავლობაში, ადგილობრივ თვითმართველობის კანონპროექტი, უნდა ვაღიაროთ, საუკეთესოდ ჩაითვლება. მართალია დაახლოებით არ ვიცით კანონპროექტის შინარსი, მაგრამ უკვე გამოქვეყნებული მოკლე ცნობებიც გვარწმუნებენ, რომ ბიუროკრატიას გაუბედნია უფრო—ფართო რეფორმა, ვიდრე მოსალოდნელი იყო მისგან. პირველად ყოვლისა, როგორც გადმოგვცემენ, მთავრობის კანონ-პროექტი აუქმებს წოდებრივ პრინციპს და შემოაქვს უწოდებრივო ადგილობრივი თვითმართველობა; შემდეგ, დიდათ ამცირებს ცენზს: ვინც კი ცოტა რამეს იხდის ან ხაზინის, ან ერობის და ან ქალაქის სასარგებლოთაო, ყველას უნდა ჰქონდეს საარჩევნო ხმა, რაც თითქმის უდრის საყოველთაო საარჩევნო უფლებას. უნდა დაარსდესო მცირე საერობო ერთეული, შემდეგ საბოქაულო, სამაზრო და ბოლოს საგუბერნიო, რათა რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ადგილობრივი თვითმართველობა ხალხს და რაც შეიძლება მეტმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობაო. კანონპროექტი ამასთანავე თურმე აფართოვებს ერობისა და ქალაქის თვითმართველობის სამოქალაქო ასპარეზს და შესამჩნევად ზღუდავს ადმინისტრაციის კანტროლს.

როგორც ჰხედავთ, მთავრობა ახლა აპირებს იმის შესრულებას, რასაც რუსეთის საზოგადოება და პრესსა ამაოდ მოითხოვდნენ და მოელოდნენ მთელი 40 წლის შანმავლობაში. ახლა კი ვინ იცის,—იქნება დაგვიანებულიც იყოს და მომავალმა სათათბირომაც კი მოახერხოს უფრო რადიკალურის რეფორმის შესრულება?.. ასეთის რეფორმის პროექტი, მაგალითად, მზად აქვთ კონსტ.-დემოკრატიულს პარტიას. მისმა მოსკოველ და პეტერბურგელ კომიტეტებმა უკვე შეიმუშავეს პროექტი ადგილობრივ თვითმართველობისა, რომელიც სავსებით დამყარებულია დემოკრატიულს პრინციპებზე: საყოველთაო საარჩევნო უფლება, მცირე საერობო ერთეული, ფართო სამოღვაწეო ასპარეზი (სკოლის, საექიმო დახმარების, გზების, სამეურნეო მუშაობის გარდა, პოლიციაც და სასამართლოც ადგილობრივ თვითმართველობამ უნდა მოაწყოს და აწარმოვოს) და სრული დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისაგან. კადეტების პროექტში არის აგრეთვე საოლქო ორგანიზაცია ადგილობრივ თვითმართველობისა: რამდენიმე გუბერნია, რომელთაც საერთო ან მსგავსი კულტურულ-ეკონომიური პირობები აქვთ, ერთ საოლქო საერობო ერთეულს შეადგენენ; ასეთმა საოლქო საერობო თვითმართველობამ პირველ ხანებში ავტონომიის მაგიერობა უნდა გასწიოს იმ განაპირა ქვეყნებში, სადაც მახლობელ მომავალში ვერ განხორციელდება ავტონომიაო.

მომავალი სათათბირო, როგორც ჯერჯერობით სჩანს, ოპოზიციონური იქნება და ამიტომ ადგილობრივ თვითმართველობის პროექტებიდან, უეჭველია, საუკეთესოს აირჩევს. ეს ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი იქნება განმათავისუფლებელ მოძრაობის გაძლიერებისა და განვითარების საქმისათვის.

### ჩემი დღიური

არაა ბრძოლა!..

არ ისმის ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, არ ისვრიან ტყვიის მტყორცნელებს, არა სკდება ყუმბარები, მაგრამ ეს არ ნიშნავს გათავებას და დასასრულს. არ არის გაფიცვა, არ იწვის მემამულეების სახლკარი, სდუმს შავი ზღვა და სქელი შეურყეველი ყინვა სდევს ბალტიის ზღვაზე, მაგრამ მოძრაობა არ გათავებულა.

ხამხედრო წესები, საველე სასამართლოები, ეკზეკუციები,—ყველაფერი ეს ძლიერი რამაა, არ შეგვიძლია, არ ვიხილოთ, არ ვიგრძნოთ ეს: ბრმანი არა ვართ და გრძნობა დაჩლუნგებული არა გვაქვს; ვიცით და ვხედავთ ტუსაღებით სავსე ციხეებს, გვესმის წამებულთა კვნესა და დედათა ცრემლები,—მაგრამ ვიმეორებთ, მოძრაობა არ გაჰქრება იმიტომ, რომ ასეთი სასტიკი ზომებია მიღებული.

რევოლიუცია უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა ეს ეკზეკუციები და საველე სასამართლოები. იგი სტიქიური მოვლენაა, რომელიც წარმოდინდება ადამიანის ბუნების სიღრმიდან. რევოლიუცია იწყება მაშინ, როცა სულს აღარ შეუძლია აიტანოს ის ბორკილი, რომელიც გარს შემორტყმია, როცა შეუძლებელია ცხოვრება, თუ არ შეიცვალა არსებული წეს-წყობილება, როცა სულშეხუთული, დამონებული, გზა-შეკრული ადამიანი მზათაა, ან გამოვიდეს ახალ გზაზე, ან მთლად მოისპოს და გაჰქრეს. რევოლიუცია იწყება მაშინ, როცა აღარ არის შიში სახრჩობელისა და ეკზეკუციისა!

მოძრაობა არ ჩაჰქრება და არ შესწყდება არც იმით, რომ მალე მოწვეული იქნება სახელმწიფო სათათბირო. მიუხედავად ბიუროკრატიის ათასნაირ ძალმომრეობისა და ხრიკებისა, მიუხედავად „რუსის ხალხის კავშირის" ლოცვისა და მუქარისა, სათათბიროში შეიკრიბებიან მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატები. უფრო მოსალოდნელია, რომ ამ სათათბიროს რამდესამე დღეში გარეკავენ უფრო მოურიდებლად, ვიდრე გარეკეს პირველი სათათბირო. მაგრამ ვთქვათ, რომ შეუძლებელი გახდა სათათბიროს დათხოვნა და რუსეთში დამყარდა პარლამენტარული წესწყობილება. ამით განა გაჰქრება მოძრაობა და მოისპობა ის წყურვილი ერთობისა, რომელიც ასულდგმულებს დღევანდელს მოძრაობას და რომელიც თანდათან იზრდება და ღრმავდება?

ბევრს ყვირიან სოციალ-დემოკრატები, რომ ახლანდელი რევოლიუცია მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული, პოლიტიკური არისო, მაგრამ ეს მოკლებულია ყოველსავე რეალურ საფუძველს. არსად არასოდეს არა ყოფილა წმინდა პოლიტიკური რევოლიუცია. ბრძოლა პოლიტიკურ უფლებებისათვის იწყებოდა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ რომა ვთქვათ, ისტორიამ არც იცის სხვა რევოლიუცია, გარდა სოციალურისა და შესანიშნავი მომენტები კაცობრიობის ცხოვრებაში იყო მხოლოდ სოციალურ მოძრაობის მომენტები. ვთქვათ, რუსეთში დამყარდა შვიდი თავისუფლება, დეპუტატები თავისუფლად შეიკრიბნენ სათათბიროში და ითათბირეს. მერე? განა ეს დააკმაყოფილებს ხალხს? გერმანიის რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატებმა მშვენიერად ითათბირეს ბევრ სასიამოვნო საგანზე, მაგრამ რა მოუტანეს ამ პარლამენტარულის თათბირით მუშათა კლასს, რომელსაც თავისუფლება იმიტომ უნდა, რომ გაა-

ფართოოს და გააღრმავოს რევოლიუცია?

პარლამენტს, სათათბიროს დღეს არ შეუძლიან რევოლიუციის დამთავრება, ან შეჩერება. სათათბირო უნდა იყოს მხოლოდ ერთი საშუალებათაგანი რევოლიუციის გასაძლიერებლად. ამიტომ, რაც უნდა კარგად გათავდეს მეორე სათათბიროს საქმეც, რუსეთის რევოლიუციის დასასრული ამით არ მოახლოვდება ისე, როგორც ეს ჰგონია ბევრს. მეტად ღრმაა რევოლიუციის საფუძველი; ის, რაც იტაცებს დღეს ხალხს, ასულდგმულებს, უხატავს წინ დიდებულს მომავალს, ის, რის წყალობითაც აქვს რევოლიუციას ძალა, მიმზიდველობა, სიდიადე, ის არ განხორციელდება ერთ წელს, ორ წელს, ათ წელს...

რისთვის უყვარს ხალხს დღევანდელი მოძრაობა, რისთვის შეჰხარის მას და არ ღალატობს არავითარ განსაცდელის გამო? იმიტომ, რომ ამ მოძრაობაში ხედავს, თუმცა ჯერ მკრთალად, სოციალურ ერთობას და თანასწორობის სახეს. თუ წაიშლება ეს სახე, ხალხი უკუ იქცევა და დასტოვებს რევოლიუციას. ხალხი უყურებს დღევანდელს მოძრაობას, მხოლოდ როგორც სოციალურ რევოლიუციის დასაწყისს, და სხვაფრივ არც შეიძლება შევხედოთ. ამისათვის არ გვმართებს ბავშებსავით გავიცქირებოდეთ გზისკენ და წამ და უწუმ გავიძახოდეთ: აი, ახლა მოვა დამშვიდება, აი ახლაო! არა, ის შორს არის. .

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში ჩვენში

**არჩევნები ტფილისში.** როგორც ამას წინად ვწერდით, ს.-ფედერალისტების პარტიის ტფ. ორგანიზაციას საბოლოოდ უარი უთქვამს რომელსამე სხვა პარტიასთან შეთანხმებაზე და ამას ანავე გადაუწყვეტია დამოუკიდებლადაც არ გამოვიდეს ტფილისის არჩევნებში. პარტიის ადგილობრივი წევრები, თუ კერძოთ თვითონ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, ვალდებულნი არიან მხოლოდ პარტიის საარჩევნო პლატფორმას დაემორჩილნენ.

—

**სოფ. ახალქალაქი.** (გორის მაზრა). 23 იანვარი. 12 იანვრინათვის აქ დანიშნული იყო გლეხთა არჩევნები, ხოლო 13-ში უნდა ყოფილიყო არჩევნები წვრილ მემამულეთაგან. გლეხთა არჩევნები მოხდა დანიშნულ ვადაზედ ადგილობრივ მამასახლისის თავმჯდომარეობით. არ მოხდა არჩევნები წვრილ მემამულეთა 13-ში თუმცა დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა მახლობელ და შორეულ სოფლებიდან. თავ მოყრილ ხალხმა ქუჩებსა და კანცელარიის ეზოში დაალამა თავმჯდომარის მოლოდინში. ბინდის დროს გამოუცხადეს, რომ მომრიგებელი შუამავალი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თავმჯდომარეობა, ავად გახდა და ამ მიზეზით არჩევნები არ მოხდება დღესაო. მთელი დღე ცის ქვეშ ლოდინით ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა სიმშილით და სიცივით. თუ მახლობელი სოფლები როგორმე მიახწევდნენ თავ თავიანთ სახლებამდის, შორეულნი მსხვერპლნი უნდა გამხდარიყვნენ ან ყინვისა და ან ნადირისა, კარგია კიდევ ახალქალაქელებმა დაუთმეს ორივე სკოლის შენობები და გაუმასპინძლდნენ შეძლების დაგვარად.

წვრილ მემამულეთა არჩევნები მოხდა ამ თვის 19, მარშლის თავმჯდომარეობით. აირჩიეს ს.-დ—ბი.

—

**კახეთი**. კახეთის მეოთხე რაიონის (ე. ი. კურდღელაურიდან ქისტაურამდე) წვრილ მემამულეთა არჩევნები მოხდა ცამეტსავე იანვარს ს. იყალთოში. სიაში შეტანილთა რიცხვის ნახევარი მაინც რომ გამოცხადებულიყო ამ დღეს, ბევრ რწმუნებულს მისცემდა ეს მხარე, მაგრამ ძლიერ ცოტა გამოცხადდა, არ ვიცი—არჩევნების დღე არ იცოდნენ, ზამთარმა, ყინვამ თუ მანძილმა შეუშალათ ხელი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 130 კაცმა და იმავე სალამოთი გათავდა. მსხვილ მემამულეთა მაზრის კრებაში რწმუნებლად აარჩიეს 20 კაცი. ამათში ზოგი ს.-ფედერალისტის მომხრეა, ზოგი ს.-დემოკრატებისა, არიან უპარტიო მემარცხენენიც. რწმუნებლად, სხვათა შორის, აირჩიეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. საზოგადოდ არჩევნებს კახეთში, რამდენადაც აწინდელ დროში შესაძლებელია, თან ახლავს აგიტაცია. აგიტაციას უფრო ეს-დეკები ეწევიან, ს.-ფ—ბი ზოგან არა სჩანან, ზოგან-კი სუსტად გამოიხატება მათი მოქმედება. ამით, რასაკვირველია, სარგებლობენ ჩვენი სან-დონები და თავიანთებურად უხსნიან გლეხებს ს.-ფ—ბის პარტიას, რომ იგი გლეხების მტერია, რომ მას მარტო თავადიშვილები, სამღვდელოება და მდიდარი კლასი შეადგენს, რომ გლეხებისთვის მარტოდ-მარტო ისინი ზრუნავენ და სხვა და სხვა. მაგრამ საქმე ის იირის, ხან და ხან თავადიშვილების თავიც დასჭირდებათ ხოლმე, მაგ., არჩევნებში და ხელად ფრონტს იცვლიან, რათა მათი გული მოიგონ. ამისთანა შემთხვევაში ახლა თავადიშვილებს დაუწყებენ კურკურს, რომ ს.-ფ—ბი თავადიშვილების წინააღმდეგ მოქმედებენ, გლეხებში ქადაგობენ, თავადებს სასიკვდილოდ ნუ დაინდობთო, და სხ. ასე იყო შარშან და არჩევნების დროს ხომ ტერორით დაიმუქრნენ, თუ ჩვენი კანდიდატი არ გაგიყვანიათ, ვაი თქვენი ბრალიო. აი ასეთის ძალმომრეობით გაიყვანეს შარშანდელ არჩევნებში თავიანთი კანდიდატები.

შეიძლებელია წელსაც წინანდელ გამარჯვებით წახალისებულთ შარშანდელი გაკვეთილი გაიმეორონ. საქმე ის არის, რომ თუ დღეს გლეხთა შორის კიდევ თამაშობენ რაიმე როლს, ეს უკანასკნელნიც დღეს თუ ხვალ გათვითცნობიერდებიან, გაიგებენ ვის რა ჰსურს მათთვის და ისე ადვილად ველარ აუხვევენ თვალებს, როგორც აქამდე.

—

22 იანვარს თელავში მოხდა სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულების კრება. უნდა აერჩიათ ორი ამომრჩეველი საგუბერნიო კრებისათვის. უნდა შეკრებილიყო 20 რწმუნებული, გამოცხადდა 19. ს. დ. ძალიან მხნედ მუშაობენ და ყოველივე საშუალებას იღებენ თავიანთი კანდიდატების გასაყვანად. მართალია, ეს 19 კაცი სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ, მაგრამ ისე მოეწყოთ საქმე, რომ იმათ წამოყენებულ კანდიდატებზე დასტური დასცეს და იმათაც ეს უნდოდათ. აირჩიეს ორი გლეხი: ნიკო ბარძიმაშვილი და არჩილ მეგრელიშვილი. ეს უკანასკნელი ეს-დეკია, ხოლო ბარძიმაშვილზე ამის თქმა არ შეიძლება. ამ ორის გარდა სხვას ყუთი არ დაუდგავს.

—

**ქ. თელავი**. ქალაქის მცხოვრებთაგან ამომრჩეველის არჩევანი დანიშნულია 28 იანვრისთვის მომრიგებელ-სასამართლოს შენობაში. არჩევნები მოხდება ბარათების საშუალებით. წარსულ არჩევნებში ბარათები არჩევნების დროს ეძლეოდათ მცხოვრებთ; იქვე სწერდნენ ან აწერინებდნენ და ყველას თვალწინ მიჰქონდათ. წელს ასე არ მოხდება. დაბეჭდილი ბარათები წინ და წინვე ეძლევათ მცხოვრებთ და აგრეთვე შესასვლელი ბლანკებიც, რომელზედაც აღნიშნულია წესები არჩევნების შესახებ. ბლანკებს პოლიცია აბარებს და, როგორც ეტყობა, ბევრიც მიდის ამის მისაღებად, რადგან ხმა დაუგდიათ, ვინც არ მიიღებს—დააჯარიმებენო. ამისათვის ყველა შურობს ბლანკების მიღებას, თუმცა თვითმმართველობას განცხადებაში არაფერია ამის შესახებ ნათქვამი. ბლანკები რუსულად არის დაბეჭდილი, ისე რომ, ვინც რუსული კითხვა არ იცის, ვერაფერი გაუგია, რაშია საქმე. სულ სხვა იქნებოდა ქართულად რომ ყოფილიყო ბლანკები დაბეჭდილი, მაგრამ ეხლა ამის შესახებ შენიშნა მეტია.

უმრავლესობას ბლანკები წინ და წინვე მიღებული აქვს. ეს-კი აგიტაციისთვის ძლიერ ხელსაყრელია, მერე ვიცით ზოგის ცნობილი საქციელი, არაფერ დაერიდებიან, ოღონდ თავისი კანდიდატი გაუყვანონ. ამისათვის ყველა მოქალაქე მოვალეა ფრთხილად მოიქცეს, ადვილად არავის ენდოს, რომ დაწერაში გვარი არ შეცვალონ და შეცდომაში არ შეიყვანონ, რადგან უმრავლესობამ რუსული წერა არ იცის და კანდიდატის ვინაობა-კი რუსულად უნდა დაიწეროს.

—

**ზესტაფონი**. დილის 9 საათიდან ხალხმა დაიწყო დენა მომრიგებელ სასამართლოს ეზოში და 10 საათზე ხალხი ჯგუფ ჯგუფად დაიყო და ისმენდა მოკამათე პროპაგანდისტებს. თავ-გასულობა ეს-დეკების პროპაგანდისტებისა, როგორც სჩანს, ხალხს უკვე მოსწყენია და შეკრებულებმა არა ერთხელ და ორჯერ პროტესტიც განუცხადეს. ერთ შემთხვევაში ისარგებლა ერთმა ახალგაზდა პროპაგანდისტმა სასამართლოს აივანით, ავიდა ზედ და გძელზე უგრძესი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ სოც.-დემოკრატია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავს და სხვები კი „ღიპდაშვებული“ ბურჟუები არიანო.

სამარისებური სიჩუმით შეხვდა ხალხი ამ სიტყვას მეორე სიტყვა წარმოსთქვა ბლოკის მომხრემ. მან მოკლედ და მჭერმეტყველურად აუხსნა შეკრებილთ, რა შესძინა ხალხს ეს-დეკების მოღვაწეობამ და მათგან არჩეულმა დეპუტატებმა პირველ სახელმწიფო სათათბიროში. დასასრულ, ხალხს ურჩია ისეთ კაცების არჩევა, რომელთაც გული შესტკივათ მისთვის. როცა ს.-დ.—მა მოინდომა პასუხის გაცემა, ხალხმა სიტყვის თქმის ნება არ მისცა. ასე იყო საქმე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სხვა და სხვა მიზეზის“ გამო მაინც ს.-დემოკრატი აირჩიეს. ეს მიზეზები თქვენც მოგეხსენებით—მუქარა, დაშინება, მოტყუება და სხვა ამისთანები. ხარაგაულის არჩევნების ამბავი, „ისარში“ დასტამბული, ერთად ერთი არ არის—ესდეკებს თითქმის ყველგან ჰყავდათ დამხმარენი მწერლებისა და მამასახლისების სახით და ათის თავებს სხვის ამორჩევაც რომ ნდომოდათ, თავისას აჩეჩებდნენ ზოგს ნებსით, ზოგს უნებლიეთ. უნებლიეთ რომ ვთქვი, ის მაქვს მხედველობაში, რომ მუქარასა და ისეთ კაცებს სთხოვენ დახმარებას, რომელნიც სხვა პირობებში პარტიიდანაც კი ჰყოლიათ განდევნილი. ამის მჭერმეტყველი მაგალითად მერკვილაძის ბრძანებაა ძველის ათის თავების არჩევის შესახებ.

—

შორაპნის მაზრის გლეხთა რწმუნებულებმა აირჩიეს ს.-დემოკრატიის მომხრენი და ჯერი მიდგა მემამულეთა არჩევნებზე. აგიტაცია ქმამულეთა შორის დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან დიდძალი ხალხი შეიკრიბა და სასამართლოს დარბაზმა ვერ დაიტია შეკრებილნი. კრების თავმჯდომარემ წინადადება მისცა შეკრებილთ, კანდიდატები დაესახელებინათ. ბლოკის მხრით დაასახელეს გიორგი ზდაჩოვიჩი, კიტა აბაშიძე, თეოფილი ხუსკივაძე და გიორგი ქუმბურიძე; ს.-დემოკრატების სახელით დაასახელეს: ვასილ ჯაფარიძე, გიორგი წერეთელი, კარლო ჩხეიძე და ნ. გაჩეჩილაძე და მეცხრე კანდიდატად—თავადი აკაკი წერეთელი. კენჭის ყრამ საღამოს 7 საათამდის გასტანა და ბლოკის კანდიტატები დიდის ხმის უმეტესობით იქნენ არჩეულნი. მომოგვყავს ცნობანი ვინ რამდენი ხმა მიიღო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ზდანოვიჩი | —173 | თეთრი | 56 | შავი |
| კიტა აბაშიძე | „ 164 | „ | 65 | „ |
| თეოფილე ხუსკივასე | 156 | „ | 74 | „ |
| კარლო ჩხეიძე | „ 72 | „ | 158 | „ |
| ვასილ ჯაჯარიძე | „ 65 | „ | 165 | „ |
| გ. წერეთელი | „ 63 | „ | 167 | „ |
| ნ. გაჩეჩილაძე | „ 72 | „ | 158 | „ |
| აკაკი წერეთელი | 104 | „ | 125 | „ |

ჯერ თავმჯდომარეს გამოცხადებული არა ჰქონდა კენჭის ყრის შედეგი, რომ გამოხტა ერთი ახალგაზდა და ამრჩევლებს უკიჟინა პოლიტიკური უმწიფობა. მან შესაფერი პასუხიც მიიღო მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლისაგან, რომელმაც დაახასიათა ს.-დემოკრატების მოღვაწეობა ჩვენში, მათი ფანატიკოსობა და მოწინააღმდეგეთა უშვერი სიტყვით ლანძღვა-გინება. ს.-დემოკრატებმა მოინდომეს ჩვეულებრივის ღრიანცელით ორატორის გაჩუმება, მაგრამ დამსწრეთა პროტესტმა თავისი გაიტანა და ორატორმა განაგრძო. დაახასიათა მოღვაწეობა პირველ სათათბიროში ს.-დემოკრატ. დეპუტატებისა, რომელნიც მთელი რუსეთის ხალხის სახელით ლაპარაკობდენ და საქართველოზე კრინტიც არ დაუძრავთ, თითქო იგი ქვეყანაზე არ არსებობდეს. აღნიშნა ისიც, რომ ს.-დემოკრატების დეპუტატებ შორის ყველა წმინდა წყლის ხალხი არ გამოდგა და სიტყვა იმით დაამთავრა, რომ დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ ორატორს. ს.-დ—ების ორატორმა მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ უაზროდ წამოსროლილ სიტყვების გარდა ჩვენ აქ აზრი ვერაფერი გამოვიტანეთ. ბოდიშს ვითხოვთ ორატორის წინაშე, რომ შინაარსი იმის სიტყვისა ჩვენ ვერ მოგვყავს. ამის შემდეგ კრება დაიშალა.

—

**ქუთაისი**. ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ განიხილა 23 იანვარს საჩივარი რამდენისამე ამრჩევლისა ქუთაისის წვრილ მემამულეთა არჩევნების უკანონობის შესახებ და, წინააღმდეგ მომჩივანთა აზრისა, დაამტკიცა არჩევნები.

—

**ამომრჩეველი მუშების მხრით.** გუშინ, 25 იანვარს, ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფ. ქარხნების და რკინის გზის სახელოსნოების მუშათა რწმუნებულებისა ერთის ამომრჩევლის ასარჩევად. კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, დაესწრო 18 კაცი. კანდიდატებად დაასახელეს გ. ოჰანეზოვი და შიხიანცი. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა გრიგოლ ოჰანეზოვი, ს.-დემოკრატი.

—

**კრების გადადება.** დღეს, 26 იანვარს, უნდა მომხდარიყო კრება ტფილისის გუბერნიის მუშათა რწმუნებულებისა ამომრჩევლის ასარჩევად. გუბერნატორმა კრება, კვირას, 29 იანვრისთვის გადასდო.

—

**მემამულეთა კრება ტფ. მაზრაში.** ტფ. მაზრის წვრილ მემამულეთა რწმუნებულებისა და მსხვილ მემამულეების კრება ამომრჩევლის ასარჩევად მოხდება ტფილისში ხვალ, 27 იანვარს, შუადღის

# ფელეტონი

## მიწის სოციალიზაცია და კოოპერაცია სასოფლო მეურნეობაში

ვ. ჩერნოვისა.

(შემდეგი *)

რუსეთში, სადაც ქარხნის მუშებს მიწათ-მოქმედებასთან კიდევ დიდი კავშირი აქვთ, ადვილადა ხდება ხოლმე მუშების ქარხნიდან სოფელში დროგამოშვებით გადაბარგება. მაშასადამე, სოფლის მუშების და ნაკლებ მამულიან გლეხების მხრივ „მიწისადმი ლტოლვილებას“ უფრო მაგარი და მკვიდრი ნიადაგი ჰქონია, ვიდრე უბრალო ბრმა ჩვეულებას და „მესაკუთრეობის ფანატიზმს“. ამ „მიწისადმი ლტოლვილებამ“, რომელსაც ფესვები აქვს გადგმული სამიწად-მოქმედო წარმოების თავისებურობაში, მომეტებული ნაწილი დასავლეთ ევროპის სოციალისტებისა აიძულა მეტი ყურადღება მიექციათ იმისთვის, ანგარიში გაეწიათ და ამისდა შესაფერისად მოეწყოთ თავიანთი მოქმედების ტაქტიკა სოფლად. ამ მხრივ, როგორც საზღვარ-გარეთელ, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრატებს არსებითი შეცდომები მოუვიდათ, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ თვით ამორჩეული გზა შემცდარი იყო.

სოფლისა და გლეხკაცობისადმი ტაქტიკა თვით სოციალ-დემოკრატების მათ-მთავარმა ფრ. ენგელსმა რამდენიმედ შესცვალა. წინააღმდეგ დოგმისა, რომლის თანახმად სოციალიზმისაკენ გზა პროლეტარიზაციით მიდისო, დოგმისა, რომელიც განსაკუთრებით რუსეთშია გავრცელებული, ენგელსმა ერთ-ერთ თავის სტატიაში აღიარა, რომ სხვა გზითაც არის შესაძლებელი გლეხების მომავალ სახელმწიფოში გადასვლაო. „ჩვენ შეგვიძლიან,—ამბობს ენგელსი,—გლეხებს შეძლება მივსცეთ **თვითონ** შემოიღონ მსხვილი წარმოება, მაგრამ არა კაპიტალის მეოხებით, არამედ თავის საკუთარის, **საზოგადოებრივის** ძალღონით“. იგი, მაგალითად, აღნიშნავდა დანიელ სოციალისტების მოღვაწეობას, რომელნიც სოფლად უქადაგებდნენ გლეხკაცობას კერძო მამულებისა და მათ წარმოების შეერთებაზე; ამასთან სახეში მიღებული იყო ის, რომ „თანდათან საგლეხო ამხანაგობანი გადავლენ უმაღლეს ფორმაზე“. „ჩვენ გადაჭრით ვდგევართ წვრილ მესაკუთრე გლეხკაცის მხარეზე,—ამბობს ენგელსი:— ჩვენ ყოველს საშუალებას ვიხმართ, რომ ნაჭერი მიწისა ხელსაყრელი იყოს მისთვის, რათა ამხანაგობაში გადასვლა გაუადვილდეს, თუ იგი ამას გაჰბედავს, ან და —თუ ჯერ ეს ვერ გადაუწყვეტია—მივცეთ დრო იფიქროს ამაზე“. „რაც ბევრია რიცხვი ამ გლეხებისა, რომელთაც გაპროლეტარებისაგან ვიხსნით და ჩვენის მიზნისათვის მოვიგებთ, მით სოციალური ცვლილება ჩქარა და ადვილად მოხდება“...

ენგელსის ამ სახელმძღვანელო აზრებს ხელი ჩასჭიდეს და განავითარეს განსაკუთრებით ე. ვანდერველდმა ბელგიაში და ჯეროლამ გატტიმ იტალიაში. **მტრულად** კი არ უნდა **წინააღუდგეთ** გლეხკაცის „მიწისადმი ლტოლვილებას“, არამედ ერთად-ერთი სწორი გზა უნდა გამოუნახოთ—გზა გაერთიანებისა, საკუთრების და წარმოების გასაზოგადოებრივობისა—აი, ესეთია თანამედროვე ლოზუნგი სოციალიზმისა სოფლად. ამის და კვალადაა შემუშავებული მომეტებული წილი დასავლეთ-ევროპის სოციალისტურ პარტიების „აგრარულ პროგრამებისა“.

საფრანგეთის მუშათა პარტიამ მარსელის და ნანტის კონგრესებზე მიიღო პროგრამა, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი შემდეგ ზომებს უჭირავს: სასოფლო თემებს უპირატესობა მიეცეთ სახელმწიფო მიწების იჯარით აღებაში, გაფართოებულ იქმნას სათემო საკუთრება, რისთვისაც თემების ხარჯთ-აღრიცხვიდან გადაიდება მოჭარბებული ფული; თემებს აეკრძალოთ სათემო მიწების გაყიდვა; თემები იშუამდგომლებენ სახელმწიფო მიწების და თვით სათემო მიწების მშრომელ სამიწათ-მოქმედო ამხანაგობათათვის გადასაცემად; ამასთანავე თემები ზედამხედველობას გასწევენ, რომ ეს ამხანაგობანი ნამდვილად მშრომელი ამხანაგობანი იყვნენ და არა დაქირავებულ შრომის გამყვლეფელნი. სახელმწიფოს შემწეობით თემებმა უნდა შეისყიდონ ან დაიქირაონ მანქანები მშრომელ მიწათ-მოქმედთა საერთო სახმარებლად, უნდა დაარსდეს სამიწათ-მოქმედო ამხანაგობანი სასუქისა, თესლეულების სასყიდლად და ნაწარმოების გასასყიდად და სხვ. ანალოგიური პროგრამა მიიღეს სხვა ფრაქციებმაც. დიჟონის კონგრესზე—ალლემანისტებმა, ხოლო ტურის კონგრესზე—პოსსიბალისტებმა. ტურში მომხდარ კონგრესზე (მარტი 1902 წ.). „საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ“ (ჟორესი, ბრიანი, ვივიანი და მათი თანამოაზრენი) შეიმუშავა პროგრამა, რომელშიაც ამასვე ითხოვენ: სოფლის თემებს გაეწიოს ფულით დახმარება, რათა სასოფლო-სამეურნეო იარაღი შეიძინონ საერთო, კოლლექტიურად სახმარებლად; შეძენილ იქმნას მიწები სათემო საკუთრებად; გადაეცეს მიწები მეურნეთაგან შემდგარ ამხანაგობებს და კავშირებს და სხვ. ამრიგად, საფრანგეთის სოციალისტები მიწების ცენტრალურ სახელმწიფოს ხელში გადასვლას მის გასაზოგადოებას ამჯობინებენ—თემისა და მშრომელ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ხელში გადასვლით.

რუმინელ სოციალ-დემოკრატების (ბუქარესტის პარტეიტაგი) აგრარული პროგრამა თხოულობს „მსხვილ მესაკუთრეთა მიწების თანდათან შესყიდვას სახელმწიფოს მიერ“, „სათემო საძოვრების დაწესებას“ და სხვას. აგრეთვე საუმჯობესოდ ცნობს საზოგადო საკუთრებად გადასული მიწები იჯარით მიეცეთ მათ, ვინც ამხანაგურად აწარმოებს.

იტალიის სოციალისტურმა პარტიამაც ამგვარივე რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც თავის წევრებს ავალებს, „რაც შეიძლება, ხელი შეუწყეთ კოოპერატიულ იდეების გავრცელებასაო“.

ჩვენ აქ აღარ შევეხებით დასავლეთ-ევროპის დანარჩენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიების მიერ შემუშავებულ აგრარულ პროგრამებს. ამ პროგრამებში კოოპერაციებს, სათემო მფლობელობას და მიწის გასაზოგადოებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. დავასახელებ ერნსტ ებგარტის სტატიას „გლეხკაცობა და სოციალ-დემოკრატია“, რომელიც მოთავსებულია „Neve Zeit“-ში რედაქტორის კაუტსკის უშენიშვნოდ. „თუმცა გლეხ კაცის თავის ქალა ანტიკოლლექტიურია, ამბობს იგი,—მაგრამ ჩვენ მაინც ვამჩნევთ, რომ კერძო საკუთრება მათ მეურნეობაში უკანა დგება და პირველ ადგილს თან-და-თან კოოპერატიული, საზოგადო საკუთრება იჭერს“. გამოსაცნობი არ არის, რომ ... გლეხკაცის სულიერ განწყობილებაზე დიდი გავლენა აქვს. „მაშინ ეჭვს გარეშეა, რომელ გლეხკაცისაგან უნდა მოველოდეთ ჩვენის მოთხოვნილების უფრო კარგად გაგებას,—გაღატაკებულისა, რომელიც ბოლოს სამრეწველო პროლეტარად ხდება და როგორც ესეთი სო-

*) იხ. „ისარი“ № 16.

12 საათზე, სამაზრო საკრებულოს სადგომში (მიხეილის პროსპ.).

—

**პროფ. კავშირების საბჭოს დადგენილება.** ტფ. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ ამ ორის დღის წინად განიხილა საკითხი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. რადგან კავშირებში შედიან სხვა და სხვა პოლიტიკურ რწმენის წევრნი, საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავშირებმა თავისით არ დაასახელონ კანდიდატები და წევრთ ნება ჰქონდეთ ხმა მისცენ იმ პარტიების კანდიდატებს, რომელნიც მუშათა ინტერესებს იცავენ.

—

**დაბრუნებული საარჩევნო ბიულეტენები.** როგორც გამოირკვა, ტფ. ქალაქის გამგეობას გაუგზავნია პოლიციისათვის ამომრჩევლების ჩასაბარებლად 34, 644 უწყება და საარჩევნო ბიულეტენი. აქედან საპოლიციო ნაწილებს, გარდა მე 9 ნაწილისა, დაუბრუნებიათ უკანვე გამგეობისათვის 11,502 ცალი.

**საარჩევნო აგიტაცია.** 26 იანვარს, ვერის დალმართის მოედანზე ხორცით სავაჭრო სადგომში, ნაშუადღევის 4 საათისათვის დანიშნულია კრება 1 ნაწილის ამომრჩევლებისა არჩევნებზე მოსალაპარაკებლად.

### რუსეთში

**ღმიტროვსკი.** მემამულეთა კრებამ გრაფი გეიდენი აირჩია.

**პეტერბურგი.** 24 იანვრამდე გლეხების, მემამულეთ და მოქალაქეთაგან არჩეულ 1423 ამრჩევლებისაგან 389 მონარქისტი და მათი თანამოაზრეც, იმათგან რუსის ხალხის კავშირის წევრი 9, მონარქისტი 187. მემარჯვენე 76, უპარტიო მემარჯვენე 117, ზომიერი 239, იმათგან უფლებრივ წესიერების პარტიისა 2, ოქტომბრისტი 145, მათი თანამოაზრე 12, ზომიერი მემარჯვენე 15; მემარცხენე 498, იმათაგან მშვიდობიან განახლებისა 6, მათი თანამოაზრე 5, დემოკრატიული რეფორმის პარტიისა და მათი თანამოაზრე 5, დემოკრატი 3, პროგრესისტი 70, კადეტი 150, მათი თანამოაზრე 50, შრომის ჯგუფის ბლოკისა 5, გლეხთა კავშირის 6, სახალხო სოციალისტებისა 3., სოც.-დემ. 22, სოც.-რევ. 7, მემარცხენე, 63, უპარტიო მემარცხენე 97, ნაციონალურ პარტიის მომხრე 49, იმათ რიცხვში ნაროდოვცები 23, უგოდოვცები 1, პოლონური ნაციონალისტები 5, კათოლიკეთა კონსტიტუციონალისტებისა 1, პროგრესიული ესტონელი 6, სიონისტი სოციალისტი 13, უპარტიო 151; ამრჩევლები, რომელთა პარტიული რწმენა არ იციან 97.

**ტამბოვი.** მაზრის კორესპონდენტის ცნობით კობლოვის მაზრის გლეხებმა აირჩიეს 13 ამრჩეველი, იმათგან უმრავლესობა მშრომელთა ჯგუფის თანამოაზრეა. გუბერნიის კორესპონდენტი იუწყება, რომ 13 ამრჩევლისაგან 10 მონარქისტია, 2 უპარტიო მემარჯვენე, 1 უპარტიო მემარცხენე; ყველანი ერთის გარდა სამსახურის კაცნი არიან.

**მოსკოვი.** მოსკოვის საგუბერნიო ამრჩეველთა რიცხვი თანაბარია. მემარცხენე ბლოკს 53 კენჭი ამოუვიდა და ამდენივე მიიღო მემარჯვენე ბლოკმაც. თითოეულ პარტიის კომიტეტი თავიანთ მხარეს აზვიადებს: კადეტები ამბობენ 2 კენჭი მეტი გვაქვსო, ამასვე იძახიან მემარცხენეებიც.

## ახალი ამბავი

—

✦ **გადასახლება და გაძევება.** ტფ. გენერ.-გუბერნატორის განკარგულებით, ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნება გორში დაპატიმრებული სოფ. ყელქცეულის მცხოვრები ერმალოზ ჩხეიძე. არხანგელსკის გუბერნიიდან თავის ნებით მოსული გორის მცხოვრები კონსტ. ტატიშვილი ორის წლით იგზავნება ვოლოგდის გუბერნიაში. ტფ. საგენ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნება ტფ. მცხოვრები ტიგ. ერამოვი.

✦ **სოფლელთა დასჯა.** გორის გარნიზონის უფროსის განკარგულებით, ორორის კვირით დააპატიმრეს საყარაულოდ არ გასვლისთვის სოფელ ალის მცხოვრებნი: ვანო მამუკაშვილი, ნიკ. გობელაშვილი, გიორგი ივანიკაშვილი, გიორგი დათნიაშვილი, დათა ყარაულაშვილი, იაგორ ნოზაძე, იოსებ გეგაშვილი, მიხ. ივანიკაშვილი, ს. ივანიკაშვილი, გრ. გიგუნაშვილი, ივ. ივანიკაშვილი, ვასილ და სიკო კაპანაძეები და კ. ივანიკაშვილი. თელავის მაზრის ვაჩნაძიანის მცხოვრები ნიკო დაგელიშვილი მამასახლისის შეურაცხყოფისათვის სამის თვით დააპატიმრეს.

✦ **პ. ა. ოპოჩინინი.** გუშინ დილით ტფილისში გარდაიცვალა პეტრე ალექსანდრეს ძე ოპოჩინინი. განსვენებული ცნობილი ნაფიცი ვექილი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე იყო. მე-80 წლებიდან ყველა ადგილობრივ რუსულს გაზეთებში იღებდა მხურვალე მონაწილეობას; მუშაობდა ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებაში, აგრეთვე თეატრის საქმის განვითარებისთვის. უკანასკნელ წელს რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზ“-ს. როგორც ნაფიცი ვექილი, ცნობილი იყო მთელს კავკასიაში ნიჭითა და ცოდნით; ლიტერატურაში უფრო ცნობილი იყო როგორც ფელეტონისტი და ამასთანავე პოეტი; ბევრი აქვს თარგმნილი ქართულ პოეტებიდანაც.

✦ **განჯა.** 23 იანვარს მოკლული ლოლაძე ტფილისში „სისკნი“ განყოფილებაში მსახურებდა. საპოლიციო ნაწილიდან ჟანდარმების როტმისტრთან ეტლით მიდიოდა. მის გვერდით მიმავალ მეორე ეტლიდან რამდენიმე კაცმა სროლა აუტეხა. ლოლაძეს 4 ტყვია თავში მოხვდა და ძლიერ ბევრი ზურგში. გარეშეთაგან სამი კაცია მოკლული და 2 დაჭრილი. ერთი მკვლელობაში მონაწილეობის მიმღები დაიჭირეს. სხვებსაც აპატიმრებენ.

✦ **საქმე ყუმბარის სროლის შესახებ.** 1 მარტისათვის ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფ. გუბერნიის მცხოვრებთა ზუბაშვილისა, ჩუბინიძისა და მაჭავარიანისა, რომელთაც ჰბრალდებათ წარსულ გაზაფხულზე წყნეთის ქუჩაზე გიორგი ამილახვრისა, კვალიაშვილის, ნემსაძისა და სხვათათვის ყუმბარის სროლა და მათი მოკვლის განზრახვა.

✦ **ქართ. წარმოდგენა.** 24 იანვარს „რენესანსის“ თეატრში სცენის მოყვარეებმა ზოგიერთ არტისტების მონაწილეობით წარმოადგინეს დრამა „სამშობლო“. წარმოდგენამ ისე ცუდად ჩაიარა, რომ ბევრნი პირველ მოქმედების შემდეგ წავიდა. როლები არ იცოდნენ, სცენაც მოუწყობელი იყო. წარმოდგენის დასასრულ საზოგადოებამ ალტაცებით მიიღო ბ-ნ ა. კავსაძის ხორო, რომელმაც რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

✦ მეტად გაჭირვებული ადამიანი, სოფიო ბაკურაძისა, რომელსაც შესანახი ჰყავს სულით ავადმყოფი შვილი, სთხოვს ყველას, უშოვნონ ადგილი. შეუძლიან მზარეულობა, მრეცხაობა და სხვა. ადრესი: კუკიაში, თამარის ქუჩა (მეორე თუმანოვისა), № 21, სახლი ხმალაძისა.

✦ ტფ. მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას ბოიკოტი გამოუცხადებია გოლოვინის პროსპექტზე დვინით მოვაჭრეს იოსებ სულხანოვისთვის, რომელსაც სრულიად უღანამაუდოდ დაუთხოვნია მუშები.

## ქუთაისის ქრონიკა

—

✦ გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ფოთის ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები, რადგან ამ კრებაზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ი. ფანცხავა, რომელიც უკვე დამტკიცებულია ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად. საქმეს განიხილავს ქალაქის საქმეთა საკრებულო.

✦ ქალაქის გამგეობას ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროდან ცნობა მოსვლია, რომ ის კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთა შრომის მოწესრიგება, უნდა შეივსოს იმ დარგების წარმომადგენლებით, რომელთაც მხედველობაში არ ჰქონდიათ სამინისტროს კანონის შემუშავების დროს. ქალაქის გამგეობამ 22 იანვარს გადასწყვითა, რომ ქალაქის თვით-მართებლობის, ვაჭართა, მრეწველთა და მშრომელთა მხრით უნდა აირჩეს თხუთმეტ-თუთხმეტი კაცი, რომელთაც უნდა განიხილონ კანონ-პროექტი. თავის მხრით ქალაქის საბჭომ იმ ხუთი კაცის გარდა, რომელიც ამას წინად აირჩია, კენჭის ყრით აირჩია შემდეგი პირნი: ბეჟ. წერეთელი, ალ. საყვარელიძე, ვას. ძოწენიძე, ექიმი ნასარიძე, ზაქ. მაჭავარიანი, ტერ. გვალესიანი. მიხ. დარახველიძე, აბზიანიძე, დავ. კვირკველია და ჩინჩალაძე. ვაჭრები და მათი მოსამსახურენი ცალ-ცალკე იქნებიან მოწვეულნი, რათა თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი აირჩიონ.

✦ მეფურნეებმა კვლავ აღძრეს შუამდგომლობა პურის ნიხრის მომატების შესახებ ფუთზე ერთი კაპეიკით. ქალაქის საბჭომ ამის განხილვა გადასდო იმ დრომდე, ვიდრე გამგეობა შეჰკრებდეს ცნობებს იმის შესახებ, რამდენად მართალია მეფურნეების განცხადება, რომ რუსეთში ფქვილის ფასმა მოიმატა.

## რუსეთი და იაპონია

### შორეულ აღმოსავლეთში

გაზ. «ნოვ»-ში საინტერესო ცნობებია მოთავსებული იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ დღეს მანჯურიაში იაპონელები. ყველაზე მეტ ყურადღებას ისინი ახალ გზების გაყვანას აქცევენ. მას შემდეგ, რაც ომი დასრულდა, ამ $1^1/_2$ წლის განმავლობაში მანჯურიის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე რკინის გზებითაა დაფარული. აშენებენ ახალ ნავთსადგურებს და აფართოვებენ ძველებს. დიდძალი ხალხი მოდის იაპონიიდან მანჯურიაში დასასახლებლად. ჩინელებისათვის თავიანთ ნაწარმოების გასაცნობად იაპონელები მუკდენში გამოფენას მართავენ.

წერილის ავტორი შემდეგ ადარებს კუნძულ სახალინის ჩრდილო ნაწილს, რომელიც რუსების ხელში დარჩა, იაპონელების საკუთრებად გადაცემულ სამხრეთ ნაწილს. ჩრდილოეთში, სადაც «კატორგაში» გაგზავნილთა რიცხვი დღეს მცირეა და მცხოვრებთა რიცხვი 1500 კაცს არ გასცილებია, მთავრობას უკვე გუბერნატორი დაუნიშნავს, რომელმაც ეს ერთი მუჭა ხალხი უნდა განაგოს. გუბერნატორის სამმართველო უკვე «ჩინოვნიკებითაა» გატენილი, რომელნიც უსაქმოდ არიან და მასლაათობენ.

ამ დროს იაპონელების კუთვნილ სამხრეთ ნაწილში სიცოცხლე სდუღს. იმათ უკვე აღმოაჩინეს ახალი მადნები, სადაც გაცხარებული მუშაობაა დღეს. მოაწყვეს ტყეების გონივრული წარმოება. ფამართეს მრავალი ახალშენი, აშენებენ ნავთსადგურებს და ამ მოკლე ხანში ამ მხარეში უკვე გაყვანილი რკინის გზაზე მუშაობას დაასრულებენ.

შესდგეს თუ არა იქ ფეხი იაპონელებმა, გაჩაღდა ელექტრონის და ორთქლისძალით მუშაობა. უკვე გამოდის იქ გაზეთი იაპონელთა მცხოვრებთა რიცხვი 15 ათასამდის ითვლება. გახსნეს სკოლა უმაღლესი კურსების განყოფილებით. გამართეს ფოსტა და ტელეგრაფი. იჯარით გაცემული სათევზაო ადგილებიდან იაპონელების მთავრობას სამხრეთ ნაწილში ათჯერ მეტი შემოსავალი ჰქონია, ვიდრე რუსეთის მთავრობას ჩრდილოეთისაში.

## ლოლაძის მოკვლა.

—

დღეს, 23 იანვარს, შუადღის ორ საათზე, ლოლაძე ერთ რუს აფიცერსა და თავის მცველ ინგუშთან ერთად ეტლით სომხების ნაწილიდან თათრის ნაწილში მიდიოდნენ. როცა ეტლი მიუხლოვდა იმ ადგილს, სადაც წყლის მილია ეკკლესიასთან, ერთბაშად იგრიალა რამდენმამე რევოლვერმა. ხმაზე მსწრაფლ დაკეტეს დუქან-მაღაზიები პირველსავე სროლაზე დასჭრეს მსუბუქად რუსი აფიცერი, რომელიც ეტლიდან გადმოვარდა; ლოლაძე მარდად და შეუშინებლად იბრძოდა რევოლვერით. შეშინებულმა მეეტლემ თავ-დაუწყებით გარეკა ცხენები, ლოლაძე გადმოხტა ეტლიდან, ალბათ იმ განძრახვით, რომ იქვე ეგიანცის მაღაზიაში თავი შეეფარებინა, რადგან წინ გზა შეუკრეს და გადარჩენის იმედი აღარ იყო. აქ მას ოცზე მეტი ტყვია დაახალეს და მაღაზიის წინ კარებთან მოჰკლეს. თავის ქალა ლოლაძეს ცხრილივით გაუხადეს. საშინელი სანახავი იყო ამ დროს მოკლული ლოლაძე, სახე სრულიად გაშავებოდა სისხლი ტვინში არეოდა და პირქვე ეგდო. მთელი ის ადგილი სისხლით იყო მორწყული, ზოგან სისხლის რუეში იდგა. შემდეგ ამისა, იქვე ცოტა მოშორებით ერთი სომეხიც მოჰკლეს. კარგა ხანი გავიდა, როცა ყაზახები გაჩნდნენ. მერე, თითქოს მიწიდანაო, პოლიციელებიც ამოძვრნენ და ყაზახების იმედით, ხალხის ცემა-ტყეპას შეუდგნენ. გაჩნდნენ პროკურორი და სხვები. ექვსის ნახევარი იყო, რომ საქმის გარჩევას მორჩნენ და შეუდგნენ ეგიანცის მაღაზიის ჩხრეკა-ძებნას და რაკი ვერა იპოვნეს რა, იატაკს დაუწყეს მტვრევა. ამომტვრიეს ფიცრები, რომლის ნატეხები თვითონ წაიღეს, რადგან რამდენიმე ტყვია იატაკის ფიცრებს მოჰხვედროდა. მოკლული ლოლაძის გვამი კი საკაცეზე დადებული მუშებს წაიღებინეს ადგილობრივ სამხედრო საავადმყოფოში.

ლოლაძის გარდა მოკლული აღმოჩნდა მცველი ინგუში და როგორც ვიცით, ერთი სომეხი; დაჭრილია სამი: მეეტლე, რუსი აფიცერი და ერთიც სომეხი.

თოფების სროლამ მთელ ქალაქის მცხოვრებნი ძალზე დააფრთხო, დაკეტეს ერთბაშად დუქნები, როგორც სომხის, ისე თათრის ნაწილში, რადგან ხმა გავარდა, „ბუნტია“ „ბუნტიო“. შეშინებული სომეხ-თათრები თავ-დაუწყებით მირბი-მორბოდნენ თავ-თავიანთ ნაწილებში. ქალაქი ისე დაცარიელდა, რომ კაცის ჭაჭანება არ იყო. **მარჟვილელი.**

## „ნამუსიც კარგი საქონელია“

(წერილი რედაქციის მიმართ).

(დასასრული *)

ამ გვარ „სასიკეთო“ საქმეების ჩამდენნი, ჩემი მოწინააღმდეგენი, „სოციალ-დემოკრატების“ სახელით მონავარდე ვაჟბატონები ყოველისავე შემთხვევით სარგებლობენ, რომ კლანჭი გამკრან, რამეთი შემეხონ, ახალ დროის შესაფერად რომ სთქვათ, გამლანძღონ, მაგრამ იმდენად სუსტია და უნიადაგო მათი საბრძოლველი საშუალება, რომ მცირედი განმარტება—ახსნის შემდეგ ყოველივე საფუძველი ეკარგება. ავიღოთ მაგალითისათვის გაზეთ „გზა“-ს მე № 3. იქ სოხუმელი კორესპონდენტი ამტყუნებს ქალაქის გამგეობას, ვითომ მას საარჩევნო უფლების შემავიწროვებელი პირობები შეექმნას. ვინ არ იცის, ვისაც დაბეჯდილ ამბის გაგება კი შეუძლია, რომ ადგილობრივ თვითმართველობას არჩევნების შესახებ არავითარ ახალ წესების შემოღება არ შეუძლიან. ყოველი დაბრკოლება და განმარტება ცენტრალურ მმართველობისგან მოდის; რომ არჩევნების საქმეს განაგებს სამაზრო კომისსია, სადაც თავმჯდომარედ ოლქის სასამართლოს ერთი წევრთაგანია; ქალაქის გამგეობა ადგენს სიას იმ ცნობების ძალით, რომელიც ხელთა აქვს ან რომელსაც სხვადა სხვა სახელმწიფო დაწესებულება უგზავნის. საარჩევნო წესდებაში კარგად არის ახსნილი ის თუ როგორ გასწორდება ქალაქის საარჩევნო სიები. ეს სია ახალი არ არის, შარშანდელი სიაა, რომელიც ყველასაგან მოწონებული იყო. წელს იგი შევსებული და შესწორებულია: წელს 500—600 ამრჩევლებით მეტია სიაში. სოხუმის თვითმართველობა რომ დიდ თავისუფლებას აძლევდა ამრჩევლებს თავიანთ უფლებების საქმეში, იქიდანაც სჩანს, რომ ქალაქის გამგეობა ფიქტიურად შედგენილ ქაღალდსაც არ უკვირდებოდა ჯეროვანად: ამის დასამტკიცებელ საბუთს ვადგენ რედაქციაში. ეს ფაქტი გამომჟღავნდა ზოგიერთ სოხუმელ „სოციალ-დემოკრატების“ ქუა-მოკლეობის მიზეზით.

იმავე გაზეთ „გზა“-ს №-3 მოხსენებულია ვითომ მე როგორც თავმჯდომარეს, ერთ კრებაზედ ლაპარაკის ნება არ მიმეცეს სოციალ-დემოკრატისთვის, უნდა მოგახსენოთ, რომ კაცს რეაქციის დამყარების შემდეგ ადგილობრივი პოლიცია ეძებდა: ერთხელ დაიჭირეს და ჩემის თავდებობით გამოუშვეს იმ პირობით მხოლოდ, რომ სოხუმში არ დარჩენილიყო. მას შემდეგ ეს კაცი, თუმცა სოხუმში იყო, მაგრამ პოლიციას მაინც წასული ეგონა. ეხლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: სიტყვის ნება უნდა მიმეცა იმ კაცისთვის, რომელიც, როგორც მისი ხასიათი ვიცი, მოჰყვებოდა ადამიდან, შეეხებოდა ათას რამეს, რაც შეუმჩნეველად არ დარჩებოდა პოლიციისათვის და თვითონვე ხიფათში ჩავარდებოდა**). ამიტომ ვთხოვე მხოლოდ, აღძრულ საგანს შეჰხებოდა (მსჯელობა იყო სავაჭრო ამხანაგობის წესდებაზედ). რა უნდა სთქვა აქ სოციალისტს. მან, რა თქმა უნდა, ვერ აასრულა დაპირება: მიედ-მოედვა მთა-ბარს და კრებაც დაიშალა. ეს გარემოება გახმაურდა: მოხსენება წავიდა, სადაც ჯერ არს, ჭეშმარიტ რუსთა წარმომადგენლებისაგან, რომ „ქართველის“ ქალაქის თავის თავმჯდომარეობით კრება ხდება რომელზედაც სოციალისტები არსებულ წეს-წყობილობას ავად იხსენიებენ, ამცირებენ და ადგილობრივი „ქართველი“ ადმინისტრაციაც ამას ხელს აფარებსო. მოვიდა ფიცხელი ბრძანება, შეკითხვა,

*) იხ. „ისარი“ № 16.

**) ვგზავნი რედაქციაში მთელ მიწერ-მოწერას ამ შემთხვევის გამო აღძრულს, საიდანაც წმინდად დაინახავთ, თუ რა ბავშობა—უგუნურობას იჩენენ ხშირად აქაური რაინდები.

---

ფლიდან ჩვენთან მოდის, თუ იმ გლეხკაცისა, რომელსაც შეძლება ჰქონდა გაეყო კოლლექტიური მეურნეობის სარგებლობა“.

ავტორი თავის წერილს იმ ზომების ჩამოთვლით ათავებს, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ უნდა წამოაყენოს აგრარულ საკითხში. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ერთს მუხლს: „უმთავრესად საჭიროა მხარი დაუჭიროთ იმ ლტოლვილებებს, რომელიც მიმართულია კოოპერაციულ დაწესებულებათა ასაღორძინებლად. ამ რიგად, გლეხკაცის მეურნეობას ვუახლოვებთ ჩვენს მიზნებს და ხელს ვუწყობთ ამ მიზნების შეგნებას“.

ეს აზრთა მიმდინარეობა მარქსიზმის ბევრ დოქტრინიორს აიძულებს სხვანაირად შეხედოს ბებელის ბრესლავის სიტყვას. ბებელი ამბობდა: „სათემო საკუთრება—კერძო საკუთრება აღარ არის, და უკეთუ იმის მიერ მოტანილი სიკეთე ძლიერ თვალსაჩინო არ არის, მიზეზი მასშივე კი არ არის დამალული, როგორც მიწათ-მოქმედების ფორმაში, არამედ იმის საქმეების მრავალ გამგეობაში... ჩვენ უნდა გვიხაროდეს, როდესაც ...ის თვითეულ გვაქტარს სათემო საკუთრებად ვაქცევთ, რადგანაც ეს ძლიერ დაგვეხმარება მიწის გასაზოგადოებრიობის დროს. სათემო საკუთრების ხელის შეწყობა და მისი გაფართოვება ყველა შესაფერის ზომით ჩვენს ინტერესს შეადგენს.“

ამ ბოლო დროს გლეხ-კაცები ხმამაღლა მოსთქვამენ—„მიწა, მიწა“-ო და ეს გოდება ადგილ-ადგილ საბრძოლველად იწვევს ხალხს. მომავლისთვის ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ადვილად შესაძლებელია, ბიუროკრატიულ წესწყობილების დამხობის დროს, როდესაც მოისპობა სახელმწიფო მანქანის წესიერად მუშაობა, გლეხკაცობამ შესაფერის დროით ისარგებლოს და დიდის ხნის ოცნება აისრულოს—მიწა იშოვნოს. რადგან რევოლიუციონურ ხანაში გლეხკაცობის აჯანყება მიწის ხელში ჩასაგდებად ადვილი შესაძლებელია, ამიტომ სოციალისტურმა პარტიამ ამ შესაძლებლობას ანგარიში უნდა გაუწიოს, რათა საქმის მსვლელობის დროს რაიმე ცვლილებამ მოუმზადებელს არ მოასწროს. პარტიას შემუშავებული სამოქმედო პროგრამა უნდა ჰქონდეს.

რა პოზიცია უნდა დაიჭიროს სოციალისტურმა პარტიამ მიწის საკითხის გადაწყვეტაში ამ შემთხვევისთვის? როგორ უნდა მოიქცნენ სოციალისტები მაშინ, თუ „დამფუძნებელ კრებაზე“ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ გლეხკაცობის მიერ ძალად მიწების მითვისებას კანონიერი მსვლელობა მიეცეს?

მაგრამ ამ კითხვის დასაყენებლად საჭირო არ არის, უსათუოდ წარმოვიდგინოთ გლეხკაცობის აჯანყება მიწების ჩამოსართმევად. ჩვენთვის ეს ერთი შესაძლებლოთაგანია. ჩვენ შევიძლიან მეორე შესაძლებლობაც მივიღოთ: გლეხები დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებას მოთმინებით ელიან. კრებამ უსათუოდ რაიმე უნდა იღონოს გლეხკაცის გათახსირებულ მეურნეობის აღსადგენად. გლეხკაცობა ხომ უმრავლესობას შეადგენს; იგია გადასახადის გამღები ძალა, რომლის მიწასთან გასწორება საგრძნობლად ეხება სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს; რუსეთის ინდუსტრიისათვის—იგი შინაური ბაზარია, რომლის შეშეცირებაც კაპიტალისტების ჯიბესა ჰხვდება საგრძნობლად. ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, თუ სურს ფეხი მოიმაგროს, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ეკონომიურ განვითარებას. საკმაო არ არის ტეხნიკური განვითარებისთვის ზომების მიღება და სასოფლო სამეურნეო განათლების გავრცელება. წვრილი განცალკევებული მეურნეობა ძნელად ითვისებს ტეხნიკურ გაუმჯობესებას; მაგრამ, ამას გარდა, ასეთ ზომებს ნაყოფი მხოლოდ შორეულს მომავალში მოაქვს. გლეხთათვის მიწების მიზომვის საკითხი უსაჭიროესი საქმეა, რათა გაღატაკებულს სოფელს დაუყოვნებლივ ეშველოს. ამიტომ სოციალისტებისათვის იბადება ხელახალი კითხვა—როგორ უნდა შეხედონ ამ ზომას? დაიცვან მიწების მიზომვა, თუ წინააღუდგნენ? რამდენი და რა ფორმით უნდა მიეზომოთ მიწა? **გ. შ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

დებსა და მძარცველებს-კი სამოქალაქო სასამართლოში გაასამართლებენო.

✦ **კადეტების პარტიის დაკანონებას** მალე ელიან პეტერბურგში. დაკანონების ცხარე წინააღმდეგი იყო განსვენებული გრადონაჩალნიკი ფონ-დერ ლაუნიცი და ძლიერ აბრკოლებდა თურმე ამ საქმეს. ამ ჟამად-კი, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, საქმე სენატის ხელში ყოფილა, და, როგორც სჩანს, სურვილი ჰქონია კადეტების სასარგებლოდ გადასწყვიტოს.

✦ **საერო განათლების სამინისტროს შეკითხვით მიუმართავს** ევროპის სხვადა-სხვა უნივერსიტეტებისათვის საუნივერსიტეტო წესდების შესადგენად, უკვე პასუხი მიუღია საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის უნივერსიტეტებისაგან და შემუშავებულ წესდებას მომავალ სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს განსახილველად.

✦ **სამღვდელოება სასტიკ აგიტაციას ეწევა რუსეთში,** რათა მთავრობას ხალხში ნდობა მოუპოვოს. სხვათა შორის პეტერბურგის მახლობლად ალექსანდრონევის დიდ ლავრაში (მონასტერში) ბერების ცნობილ აგიტატორს ბერ არსენის ისეთი ცხარე სიტყვით მიუმართავს შეკრებილ ხალხისათვის, რომ ბოლოს-და ბოლოს ხალხს ყვირილი დაუწყია: ძალით გაუსწორდით მთავრობის მოწინააღმდეგებსაო!

✦ **სტოლიპინს საყურადღებო საუბარი** ჰქონდა ამას წინად ჩერნიგოვის გუბერნიაში არჩეულ საერობო გამგეობის უფროს სავიცკისთან. სტოლიპინმა ჰკითხა, როგორ მიდის საქმე ჩერნიგოვის გუბერნიაშიო, და სავიცკიმ უპასუხა: უკანონო აგიტაცია ძრიელ გავრცელებულია, კანონიერი კი არსადა სჩანსო. მერე რა მიზეზია? ჰკითხა სტოლიპინმა. მიზეზი სულ უბრალოა,—უპასუხა სავიცკიმ: მაგალითად მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რომ გავეგზავრო სოფლებში კანონიერი აგიტაციის გასამართავად, მაზრის უფროსი მაშინათვე ციხეში ჩამსვამს:—მართალს ბძანებთ, უპასუხა დაფიქრებულმა სტოლიპინმა. ადმინისტრაცია ამ ბოლო დროს ერიობ დაშინებულია.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 იანვარი.

**სოსნოვიცი.** მძარცველები თავს დაეცნენ ე. ატერინის ქარხნის კასირის თანაშემწეს. ბრაუნინგები მოუღერეს და 6000 მანეთი წაართვეს.

**ოდესა.** დილით ტრამვაის საზოგადოების კასირი ეტლით მიდიოდა; სადგურის ახლო თავს დაესხნენ, მეეტლე მძიმედ დაჭრეს და 2100 მანეთი მოიტაცეს.

დააპატიმრეს საკომერციო სასწავლებლის 30 მოწაფე. მათ ჰბრალდებათ სასწავლებლის აფეთქების განზრახვა.

**ჰარისბურგი.** (პენსილვანია). სავაჭრო უბანი იწვის; დაიწვა ბევრი შენობა: თეატრი, სასტუმრო და სხვ. ცეცხლი არ ჩამქრალა.

**ლვოვი.** რუსინი სტუდენტები, რიცხვით 160 კაცი, დემონსტრაციის მოხდენისთვის დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს. მაგრამ მეორე კიდევ გულ ახლა დააპატიმრეს. ამ ბავს გაზეთები იმითა ხსნიან, რომ რექტორმა და ზოგიერთმა პროფესორმა რუსინებისაგან მუქარის წერილები მიიღეს.

**ხარკოვი.** გენიჩესკის სადგურზე 6 შეიარაღებული კაცი დაეცა ვაგონში მომხმარებელ საზოგადოების დუქანს დუქნის გამგემ სროლა ასტეხა და ორი კაცი დასჭრა. სხვები გაიქცნენ. დაჭრილებ საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**პეტერბურგი.** დილის ექვსს საათზედ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი ქიმიის პროფესორი დიმიტრი მენდელეევი.

**ვარშავა.** სადგურ ნალენჩოვში შეიჭრა 30 შეიარაღებული ახალგაზდა. დასჭრეს სადგურში მყოფი ლიუბლინის მომრიგებელი მოსამართლე და ჟანდარმი. კასსა დინამიტით ააფეთქეს და 542 მანეთი მოიტაცეს.

**კოლოცკი.** ბაღში რევოლვერით მოჰკლეს მაზრის ჟანდარმის სამმართველოს უფროსი პოდპოლკოვნიკი ბელსკი. მკვლელი მიიმალა.

**სტოკჰოლმი** მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი დეპუტატების და ადგილობრივ თვითმმართველობის წევრთა არჩევნების რეფორმის შესახებ. ამ პროექტით ქვედა პალატაში შემოღებული იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლება და პროპორციონალური წესი. ზედა პალატაში არჩევნები მოხდა პროპორციონალური წესით და ადგილობრივ თვით-მართველობის მეოხებით. ზედა პალატის რწმუნებულების ვადა უნდათ 9 დან 6 წლამდე შეაჰოკლონ.

**შანჰაი.** ელიან იანშიკაის მანჯურის გენერალ-გუბერნატორად დანიშნვას.

**ლონდონი.** „დეილი-ტელეგრაფი“-ს ცნობით, ნიუიორკის გაზეთები ძლიერ შიშობენ, ვაი თუ იაპონიასთან ომი მოგვიხდესო, თუმცა სამხედრო მინისტრი ამ გვარ შიშს უაზროდ სთვლის. პრესსა ურჩევს მთავრობას, სკოლაში გაათანასწოროს იაპონელ ამერიკელ ბავშვების უფლებანი და ამით ომიანობა თავიდან აიცდინოს.

**ოდესსა.** საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩეს სამი მოქალაქე. მათ ბრალდებათ პოლიციაზე შეიარაღებული თავდასხმა.

**ტომსკი.** ბურგინსკის სოფლის სასამართლოში ღამე ფანჯრიდან შეიპარა 6 შეიარაღებული კაცი. კასიდან წაიღეს 390 მანეთი, შემნახველ კასის 5000 წიგნაკი სასამართლოს ბეჭედი და მიიმალნენ.

**ბერლინი** 21 იანვარს, ღამის 12 საათზე, გამოირკვა ცხრა ხელახალ არჩევნების შედეგი. კონსერვატორებმა ორი ადგილი დაჰკარგეს და ერთი შეიძინეს; ნაციონალ-ლიბერალებმა შეიძინეს ორი ადგილი, თავისუფალ მოაზრეთ შეიძინეს ერთი. სოც.-დემოკრატებმა დაჰკარგეს ორი ადგილი, უპარტიო ლიბერალებმა შეიძინეს ერთი ადგილი.

**რიგა.** საველე სასამართლომ შეიარაღებულ ძარცვა-გლეჯისათვის მიუსაჯა ერთს 20 წლით კატორგა, ხოლო მეორეს 12 წლით დაპატიმრება.

**იაროსლავი.** სოფ. ინეკოუზის ფოსტა-ტელეგრაფის გაძარცვის შესახებ შემდეგ დაწვრილებით ამბავს გადმოგვცემენ: 18 იანვარს შუა დღისას 5 შეიარაღებული კაცი შევიდა, „ხელები ზევით ასწიეთო“ დაიძახა და 5000 მანეთი მოიტაცა. სოფლის სასამართლოში ამ დროს საქმეები ირჩეოდა. რაც გლეხებმა ეს ამბავი გაიგე, მძარცველებს გამოედევნენ, თუმცა მათ სროლა ასტეხეს, მაგრამ მაინც დაიჭირეს. ბრბომ თვით-ნებობა იხმარა და თავდამსხმელთ ძლიერ სცემა. ერთი იქვე მოკვდა, მეორე საავადმყოფოში გაგზავნეს. ფულების მომეტებული ნაწილი იპოვნეს.

**ფეოდოსია.** ეკატერინის გზის კანტორაში სამი უცნობი შეიჭრა. რევოლვერებით და ყუმბარებით დაიმუქრნენ, 2000 მანეთი მოიტაცეს, ერთი ყუმბარა დასტოვეს და მიიმალნენ. ეჭვი მიიტანეს ორ კაცზე. ორივე დააპატიმრეს.

**ეკატერინბურგი.** პერმ-ეკატერინბურგის გზის მეარტელეს ტარასენკოს, რომელსაც ხაზინიდან 27,1000 მანეთი მიჰქონდა, დღისით თავს დაეცა სამი კაცი. ფულით სავსე პარკი წაართვეს, მარხილში ჩასხდნენ და წავიდნენ. ტარასენკო ეტლით გამოუდგა, ქალაქის განაპირას მოეწია, სროლა აუტეხა და პარკი დააგდებინა. ორი კაცი დაიჭირეს. ფულს 900 მანეთი აკლია.

**პინსკი.** რეალურ სასწავლებლის მეთვალყურეს მასწავლებლების დასარიგებ ლად 761 მანეთი მიჰქონდა. 7 შეიარაღებულმა კაცმა ფული წაართვა.

**ნემიროვი.** ბრაცლავიდან ნემიროვში მიმავალ გიმნაზიის საქმის მწარმოებელს წაართვეს 3000 მანეთი, მასწავლებლების ჯამაგირი.

**პეტერბურგი.** პრესსაში იბეჭდება სხვა და სხვა ცნობა სმოლენსკის მთავარ საპატიმროს იმ ტუსაღების შესახებ რომელნიც კატორგაში უნდა გაიგზავნენ პატიმრებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმით, რომ სატუსაღოს ტანისამოსი და საცვალარ ჩაიცვეს. ამის გამო საპატიმროს მთავარი სამმართველო აცხადებს: დეკემბრის შუა რიცხვებში სევასტოპოლიდან სმოლენსკში გადაიყვანეს ერთი რიგი კატორგელებისა, რომელთაც სმოლენსკის ტუსაღებზე ძლიერ ცუდი გავლენა იქონიეს. ახლად მოსულები უწესოდ იქცეოდნენ; მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს ამბობდნენ, რომ არცღმერთიკ ვწამს, არც მთავრობა, არც კანონიო. განსაკუთრებით გაჯიუტდნენ მაშინ, როცა მოსთხოვეს, რომ თავიანთი თეთრეული ციხჰაუზში დაებარებინათ და ჩაეცვათ. ახლად მოსულებს ძველებიც შეუერთდნენ და საპატიმროს ადმინისტრაციას მოთხოვნილება წარუდგინეს. სხვათა შორის ითხოვდნენ, რომ საჭმელ-სასმელის საქმე ტუსაღებისა მიერ არჩეულ კაცებს ჩაჰბარებოდა. როცა ამაზე უარი მიიღეს, მთელ სატუსაღოში „ტიტველ“ გაფიცვა მოახდინეს, ე. ი. დაიყოლიეს ყველა ტუსაღები, რომ სახელმწიფო თეთრეული და ტანისამოსი არ ჩაეცვათ. ამასთან მეთვალყურეებს სიკვდილს ემუქრებოდნენ. ტუსაღები აშკარად ამბობდნენ, რომ პრესსა ჩვენი დამცველიაო, თავი მოჰქონდათ იმით, რომ მათზე გაზეთებში სწერენ. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სმოლენსკის სატუსაღოში წეს-რიგის აღსადგენად გაგზავნა მთავარ სამმართველოს უფროსის თანაშემწე.

**ვარშავა.** მარიავიტებმა წირვის გარდა, ღვთის მსახურების დროს, ლათინურის მაგივრად, პოლონური შემოიღეს.

**ვიტავა.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია 8 დატიშელის საქმე. 1905 წლის ოქტომბერში ტეპუკაის წინამძღოლობით, რომელიც თავისს თავს გენერალს უწოდებდა და რომელიც შემდეგ გაიქცა, იარაღი აისხეს და ბარონ რეკკეს არეის სახლეს ქმრხანაში, სოც.-დემ. პარტიის სახელით, დიდ ქვაბში მოგროვილი სპირტი გამოუშვეს. ახლო-მახლო მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან ამ ქარხანაში კარტოფილს ასაღებდნენ და კაი ძალ ფულს შოულობდნენ, მაგრამ შეიარაღებულებმა დააშინეს. ბრალ-დებულნი თავს იმართლებდნენ და განაცხადეს, რომ სარევოლიუციო მოქმედებას სოც.-დემ. პარტია გვაიძულებდაო. სასამართლომ ყველას გადასახლება მიუსაჯა.

**ლიუბლინი.** 21 იანვარს სადგურ დოროგოსკს თავს დაეც 25 შეიარაღებული კაცი. მათ ჯერ სროლა აუტეხეს სადგურის მახლობლად „ოხრანნი“ განყოფილების სახლს და შემდეგ თვით სადგურში ყუთი ააფეთქეს. ყუთის ქვეითა ნაწილი ნაფოტებად იქცა. ფული უკლებლად. სროლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა სადგურის ჟანდარმი. ბრბოს დასაჭერად ზომებია მიღებული.

**ოდესსა.** საღამოზე ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში პოლიციელებს დაეცნენ. ბერძნების ქუჩაზე მოჰკლეს „გოროდოვოი“. ოდგის ქუჩაზე „გოროდოვოი“ დასჭრეს. მსროლელნი მიიმალნენ. ბაზარნი ქუჩაზე მოჰკლეს დარაჯი და დასჭრეს „გოროდოვოი“. ორი კაცი დაიჭირეს.

**მინსკი.** სხვილმა მემამულემ გრაფმა პოტოცკიმ გადასწყვიტა შრომის მოყვარე გლეხებს ადგილები მუქთად დაურიგოს და ცალკე ხუტორებად დაასახლოს. გრაფი ფიქრობს ზვიდ სოფელში სამაგალითო ხუტორები გამართოს.

**ვარშავა.** უიაზდოვსკის ქუჩაზე სამი შეიარაღებული კაცი დაეცა ტრამვაის ვაგონს. კონდუქტორს 16 მანეთი წაართვეს.

**მიშკინი.** სოფ. ნელეკოუზში დღისით ფოსტის განყოფილებაში, როცა იქ წვრილ მემამულეთა კრება იყო არჩევნების თაობაზე, სამი შეიარაღებული კაცი შევარდა, „ხელები ზევითაო“ დაიძახა, 5000 მანეთი გაიტაცა და გაიქცა. ერთი მათგანი დაიჭირეს.

**სამარა** საღამოზე ექიმ გერტელის სახლში შევარდა 4 რევოლვერით შეიარაღებული კაცი. ექიმს ამოაცალეს რაც ფული ჰქონდა და წასვლისას განაცხადეს, რომ კარებში ყუმბარა დავდევითო.

20 იანვარს ღამე 4 შეიარაღებული კაცი ოზერინსკის სტამბაში შევარდა. ამ დროს იქ ბიულეტენებში ოქტომბრისტების კანდიდატების გვარებს სწერდნენ. „ხელები ზევითო“, დაიძახეს, 150 ბიულეტენი მოიტაცეს და წავიდნენ. არავინ არ დაუჭერიათ.

**ირკუტსკი.** სადგურზე დაკარგული 4 ფულიანი ყუთი (100,000 მან.) ქალაქ გარედ იპოვნეს გატეხილი. მეკანტორე ჯერ ვერ იპოვნეს.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოში, ერევნის მოედანზე, 25 იანვარს, შუადღეზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** იმათთვის, ვისაც სურს იჯარით აიღოს ქვიშის, გრავის, რიყის ქვის, დამტვრეული ქვის დამზადება მესამე ნაწილში, მტკვრის პირად ქალაქის სახლის (ყოფილ პანკოვების) წინ.

პირობების გაცნობა შეიძლება ქალაქის საბჭოს მეოთხე განყოფილებაში, დილის 10—12 საათამდის. (2—6.—1)

თამბაქოს მწეველთ!!!

**პაპიროსის მანქანით „მერიონით“**

ყველას ადვილად და უწვალებლად შეუძლიან მოამზადოს

## საათში 600 ცალი

პაპიროსი ყოველგვარ ზომისა. ფასი 18 მან. შეიძლება ამ ფულის **ნაწილ-ნაწილ გადახდა**. თამბაქოს მაღაზია „ივერია“-ში მიასნიკოვისა, გოლოვინის პრ., პირველ გიმნაზიის პირდაპირ და გ. ი. ყულიჯანოვის მაღაზიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. (3—787—3

**გამოვიდა და იყიდება**

აკაკის

ახალი წიგნი

## მამლის ყივილზე

**(ზღაპარი)**

ტფილისში წიგნი იყიდება „წ. კ. გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (5—5)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიჩიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**გ. ი. გელიშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ა. **მ. პუგინოვი:** 6—7 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—12)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემბერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—54)

მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ ა მ უ რ ი ს წ ე რ ს “

სასარგებლო ს ჩუქარი მომავალ დღესასწაულებისათვის

## მთავარი საწყობი, როგორც ნარდად, ისე ცალობით გასასყიდად

## გრამოფონებისა

✦✦ და ✦✦

## ფირფიტების

მთელ კავკასიისთვის.

მიღებულია დიდ-ძალი ფირფიტები სულ ახლად ჩაწერილ სიმღერებისა სხვა და სხვა ენაზე.

ფასი ძლიერ იაფია.

დასურათებული პრეისკურანტები, კატალოგები და სიმღეროების სიები მსურველთ ეგზავნებათ და ეძლევათ უფასოდ.



ტფილისის განყოფილება საქციონერო საზოგადოების

### „გრამოფონი“-სა

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, ს. 9.

ფაბრიკის მარკა.

ადრესი ტელეგრამებისთვის: Тифлисъ „Граммокомпанія“.

(25—6.—18)

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ა მ უ რ ი ს წ ე რ ს“


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.